112

2021

წლიური ანგარიში | ANNUAL REPORT



საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

წლიური ანგარიში

PUBLIC SAFETY COMMAND CENTER “112”

ANNUAL REPORT





01 გიორგი არსოშვილი | GIORGI ARSOSHVILI 1

02 საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ | ABOUT PUBLIC SAFETY COMMAND CENTER “112” 2

03 სტატისტიკა 2021 | STATISTICS OF 2021 3

04 მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა | CITIZEN SATISFACTION RESEARCH 4

05 112-ის მიერ განხორციელებული სამუშაოები კოვიდ პანდემიის დროს | WORK CARRIED OUT BY 112 DURING COVID-19 PANDEMIC 5

06 ამერიკული პროგრამა ProQa Paramount | AMERICAN SOFTWARE ProQa Paramount 6

07 საგზაო უსაფრთხოება| ROAD SAFETY 7

08 112-ს პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა | 112 TRAINING CENTER HAS BEEN GRANTED THE RIGHT TO IMPLEMENT A VOCATIONAL TRAINING PROGRAM 8

09 ISO სტანდარტის დანერგვა | INTRODUCTION OF ISO STANDARD 9

10 ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა | ELECTRONIC MONITORING SYSTEM OF DOMESTIC VIOLENCE 10

11 სამართლებრივი უზრუნველყოფა | LEGAL PROVISION 11

12 112-ის სტრუქტურული ერთეულები | STRUCTURAL UNITS OF 112 12-13

13 112-ის ყოველწლიური ღონისძიებები | ANNUAL EVENTS OF 112 14-15

14 საერთაშორისო თანამშრომლობა | INTERNATIONAL CCOOPERATION 16

15 2022 წლის გეგმები | PLANS FOR 2022 17-18

01

გიორგი არსოშვილი

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის დირექტორი

GIORGI ARSOSHVILI

DIRECTOR OF PUBLICC SAFETY COMMAND CENTER "112"

2021 წელს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112" ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. თითოეული თანამშრომლის თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომით ვფიქრობ, გამოწვევებს წარმატებით გავუმკლავდით. პანდემიასთან ბრძოლისა და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობის პარალელურად შევძელით და განვახორციელეთ მნიშვნელოვანი პროექტები, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო 112-ის გუნდს.

2021 წლის მთავარ გამოწვევად კვლავ კოვიდ პანდემიასთან ბრძოლა იყო, როგორც მოგეხსენებათ პანდემიის დაწყებიდანვე 112 აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და არაერთი აქტივობა განვახორციელეთ, რათა თითოეულ მოქალაქეს, შეუფერხებლად შეძლებოდა შესაბამისი დახმარების მიღება.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის, ბრძანებით, 112-ის თანამშრომლებს პანდემიის დროს განსაკუთრებულ რეჟიმში თავდაუზოგავად მუშაობისთვის, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ეფექტურ მუშაობაში შეტანილი წვლილისთვის ყველა ოპერატორი მადლობის სიგელით დაჯილდოვდა. თითოეული ოპერატორისთვის ეს დიდი მოტივაცია იყო, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო შს მინისტრს ბ-ნ ვახტანგ გომელაურს.

ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტია, კიდევ უფრო ეფექტური სერვისი შევთავაზოთ მოქალაქეებს და ცენტრის მუშაობა სრულად შესაბამისობაში მოვიყვანოთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და სტანდარტებთან. სწორედ ამიტომ 2021 წელს, ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი ამერიკული პროგრამა - ProQA დავნერგეთ, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, ავტომატურად განისაზღვროს ინციდენტის პრიორიტეტი და მოქალაქეებს ბრიგადის მისვლამდე პირველი გადაუდებელი დახმარების კონსულტაციები გავუწიოთ.

მიმდინარე წელს, ასევე, დავიწყეთ საერთაშორისო ISO სტანდარტის დანერგვა, ოპერატიული მართვის სამმართველოსა და სასწავლო ცენტრის მიმართულებით.

2021 წელი წარმატებული წელი იყო, ამის თქმის საშუალებას მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევის შედეგებიც მაძლევს - გამოკითხულთა 84% კმაყოფილია 112-ის მომსახურებით.

რა თქმა უნდა, სამომავლოდ, ჩვენი მიზანი ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით ახალი სერვისების დანერგვა და არსებულის განვითარებაა.

გიორგი არსოშვილი

შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის დირექტორი

Public Safety Command Center "112" faced new challenges in 2021. With the vigorous and fierce work of each employee, I think we successfully coped with them. Besides fighting with the pandemic and working in special regime, we managed to implement important projects as well, for which I would like to thank 112 team.

The main challenge of 2021 was the fight against the pandemic. As you are aware, 112 has been involved in the managing process of pandemic since the very beginning, and we carried out a number of activities, in order citizens to be able to receive appropriate assistance without any obstacles.

It should be noted that by the order of the Minister of the Internal Affairs – Vakhtang Gomelauri, the employees of 112 were awarded with a certificate of appreciation for devoted work in special regime during pandemic, exemplary performance and the contribution to the effective work of the Public Safety Command Center "112".

This has been a huge motivation for each operator, for which I would like to express my gratitude toward the Minister – Mr. Vakhtang Gomelauri.

Our main priority is to offer more effective services to the citizens and to bring the work of the center in full compliance with the best international practices and standards. For this reason, in 2021 Incident type and case priority determining American software – ProQA was implemented, which allows us to automatically prioritize incidents and provide first aid consultation to citizens before arrival of the crew.

Moreover, during the ongoing year, we launched the process of ISO standard implementation for the Operative Response Division and the Training Center.

Furthermore, the results of the citizens satisfaction survey allow me to say that 2021 has been a successful year – 84% of respondents are content with services of 112.

Needless to say, our aim in the future is to improve this indicator and implement new services of Public Safety Command Center "112", as well as to develop the existing ones.

Giorgi Arsoshvili

Director of Public Safety Command Center "112"

02 საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ
ABOUT PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“

2020 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაქსიმალური კოორდინაციისა და ინციდენტებზე ოპერატიული რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, სსიპ „112“ და ერთობლივი ოპერაციების ცენტრი გაერთიანდა და შეიქმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

აღნიშნული სსიპ-ი ახორციელებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვისათვის შესაბამის სატელეფონო მომსახურებას, აგრეთვე 24-საათიან უწყვეტ ვიდეომეთვალყურეობას ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის ჩადენის, დანაშაულის მცდელობის ფაქტის, სამართალდარღვევის დაფიქსირების ადმინისტრირებისა და აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

In 2020, within the frames of the "System Update" of the Ministry of Internal Affairs of Georgia, considering the international practice, 112 and Joint Operations Center were merged to form Public Safety Command Center “112”. The merger aimed to provide higher quality coordination and to elevate the level of the operative response to emergencies.

The above-mentioned LEPL provides telephone services for the efficient management of emergencies. Additionally, the entity provides 24/7 uninterrupted video surveillance throughout the country. Video surveillance provides an efficient instrument to administer crime, crime attempts, offenses and strengthens road safety.

ცენტრის ძირითადი მიმართულებებია:

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება;
- საგზაო უსაფრთხოების ეფექტური მართვა;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა;
- კრიზისული სიტუაციების ეფექტური პრევენცია / მართვა;
- მონაცემთა ეფექტური დამუშავება / ანალიზი;
- კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლი.

Areas of competence of the center:

- Advance the fight against crime;
- Efficient management of road safety;
- Effective fight against domestic violence;
- Creation of the Public Safety integrated system;
- Effective crisis prevention/management;
- Data processing and analysis;
- Control of private security services;

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ განთავსებულია ორ ლოკაციაზე - თბილისსა და ქ. რუსთავში. ქ. რუსთავის ცენტრი 2016 წელს გაიხსნა. მეორე ცენტრის დაარსების მიზანს თბილისის ცენტრის განტვირთვა და გადაზღვევა წარმოადგენს.

Public Safety Command Center “112” has two PSAPs (Public Safety Answering Points) – in Tbilisi and Rustavi. Rustavi PSAP opened in 2016 for operational continuity purposes and serves as a backup for the main Tbilisi PSAP.

03

სტატისტიკა 2021
STATISTICS FOR 2021



2021 წელს:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა **5.000.000**-მდე ზარი მიიღო.
- 2020 წელთან შედარებით - არამიზნობრივი ზარების რაოდენობა **35%**-ით შემცირდა

IN 2021:

- Public Safety Command Center “112” received up to **5,000,000** calls.
- The number of non-targeted calls decreased by **35%**





2021 წელს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში თანამდებობაზე დაინიშნა და ხელშეკრულება გაუფორმდა 159 თანამშრომელს.

ჯამში დასაქმებული 803 თანამშრომლიდან - ქოლცენტრში დასაქმებულია 467 პირი.

In 2021, 159 employees were appointed to the position and contracted at the Public Safety Command Center “112”.

In total among 803 employees - 467 persons are employed at Call Center.

144

ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზი

UNIFIED GOVERNMENT HOTLINE

პანდემიასთან დაკავშირებით გაზრდილი მომართვიანობის გამო საჭირო გახდა ალტერნატიული სატელეფონო ხაზის, ე.წ. ცხელი ხაზის ამოქმედება.

112-მა არსებულ ინფრასტრუქტურაზე მოაწყო და 2020 წლის 30 მარტს ექსპლუატაციაში გაუშვა ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზი -144;

2021 წელს 144-ის ოპერატორებმა **900.000**-მდე ზარი მიიღეს.

Due to the increased number of calls regarding the pandemic, it became necessary to use an alternative telephone line – to activate the so-called hotline.

Using the existing infrastructure, 112 built and launched the Unified Government Hotline - 144 on March 30, 2020.

Operators of 144 received up to **900,000** calls in 2021.

04 მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა

CITIZEN SATISFACTION RESEARCH

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მუდმივად ზრუნავს მომსახურების გაუმჯობესებასა და მოსახლეობისთვის უკეთესი სერვისის შეთავაზებაზე.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ ვებგვერდსა და 112-ის მობილურ აპლიკაციაში დაემატა ჩანართი კვლევის სახით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება 112-ის მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე სისტემატურად ტარდება იმ მოქალაქეთა სატელეფონო გამოკითხვა, რომლებმაც უკვე ისარგებლეს 112-ის მომსახურებით.

კვლევაში მონაწილე 800 მოქალაქიდან, რომლებსაც ერთხელ მაინც გამოუყენებიათ 112-ის მომსახურება, 84% კმაყოფილია გაწეული მომსახურებით.

Public Safety Command Center “112” of the Ministry of Internal Affairs is oriented on constant improvement of its services and suggesting those improved services to the population.

A public survey has been added to the official website of the Public Safety Command Center “112” and the mobile application of 112, where anyone can participate and express their opinion about the services of 112.

Furthermore, telephone surveys of citizens who have already used the services of 112 are conducted on a regular basis.

Out of 800 citizens participating in the survey, who at least used 1 of the services of 112, 84% are satisfied with the services provided.

წლიურ ანგარიშში დამუშავებულია 2021 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით დაფიქსირებული მონაცემები.

The annual report contains data processed as of December 13, 2021.

05

112-ის მიერ განხორციელებული სამუშაოები კოვიდ პანდემიის დრო

WORK CARRIED OUT BY 112 DURING COVID-19 PANDEMIC

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ პანდემიის დაწყებიდანვე აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.

გადაუდებელი შემთხვევისას შეუფერხებლად დაკავშირებისთვის, 112 დაიყო სამ არხად:

- 112 - სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება
- 112 1 - პოლიცია და სახანძრო სამაშველო სამსახური
- 112 2 - Covid-19 და ვირუსული სიმპტომები

Covid-19-ის ვირუსის დადასტურების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია დარეკოს 112-ზე ან დარეგისტრირდეს პორტალზე: **www.er.moh.gov.ge**

აღნიშნული პორტალი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა.

ახალი პორტალის დანერგვის მიზანს, ერთი მხრივ მოქალაქეებისთვის დამატებითი საკომუნიკაციო არხის შექმნა და მეორე მხრივ 112-ში განხორციელებული ზარების შემცირება წარმოადგენს.

112-ის მიერ მიღებული ინფორმაცია მუშავდება და შემდგომი მონიტორინგისათვის გადაეცემა ოჯახის ექიმს.

112-მა 72 სამედიცინო კლინიკაში და 14 სადაზღვევო კომპანიაში გამართა პროგრამული უზრუნველყოფა, რათა ოჯახის ექიმებმა შეუფერხებლად და ოპერატიულად მიიღონ თითოეულ კოვიდ დადასტურებულ მოქალაქეზე ინფორმაცია.

Public Safety Command Center “112” of the Ministry of Internal Affairs has been actively involved in the managing process of Corona Virus since the very beginning of the pandemic and works in special regime in order for each citizen to receive timely and highly qualified services.

112 was divided into three channels to ensure smooth connection in case of emergency:

- 112 - emergency medical aid
- 112 1 - Police and fire emergency service
- 112 2 - Covid-19 and viral symptoms

In case of confirmation of Covid-19 virus, a citizen can call 112 or register on the portal: **www.er.moh.gov.ge**

The portal was developed by the Public Safety Command Center “112” of the Ministry of Internal Affairs and the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs of Georgia.

The aim of the new portal is to create an additional communication channel for the citizens on the one hand and to reduce the number of calls to 112 on the other hand.

Information received by 112 is processed and forwarded to family doctor for further monitoring.

112 implemented software at 72 medical clinics and 14 insurance companies to enable family doctors to smoothly and promptly obtain information on each citizen diagnosed with Covid-19.



06 ამერიკული პროგრამა AMERICAN SOFTWARE ProQA Paramount

ამერიკული პროგრამა ProQA ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამაა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი.

სისტემა არსებობს 25 წელზე მეტია, 50-ზე მეტ ქვეყანაშია დანერგილი და სამი პროტოკოლისგან შედგება - საპოლიციო, სახანძრო / სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო.

უპირატესობები:

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ნამართი ზარები

ოპერატორი სხვადასხვა პროტოკოლის და შესაბამისი კითხვების მეშვეობით, მაქსიმალურად მცირე დროში იღებს სრულყოფილ, ამომწურავ და რეალურად საჭირო ინფორმაციას.

ინციდენტის პრიორიტეტის მაღალი სიზუსტით დადგენა

ProQA უზრუნველყოფს ზარის შედეგად შემოსული ინფორმაციის მაქსიმალურად ეფექტურად დამუშავებას, რის შემდეგაც სწორად და შეუცდომლად განსაზღვრავს ინციდენტის პრიორიტეტებს.

პირველი დახმარების სატელეფონო ინსტრუქციები

ოპერატორს შესაბამის ინსტრუქციებზე დაყრდნობით საშუალება ეძლევა მოქალაქეს გაუწიოს კონსულტაციები და მისცეს სწორი და დროული მითითებები ეკიპაჟის მისვლამდე.

საქართველოში ProQA Paramount-ით სახანძრო სამაშველო და საპოლიციო საქმეები უკვე იმართება. შემდეგ ეტაპზე კი სასწრაფო სამედიცინო პროტოკოლი დაინერგება.

American software ProQA is the program, which determines types of incidents and priorities of cases significantly improving the quality of the service.

The system has existed for over 25 years and is being used in over 50 countries worldwide. The system consists of three protocols – Police, Fire, and Medical.

ADVANTAGES:

CALLS MANAGED PURSUANT TO INTERNATIONAL STANDARD

Operator, with the help of various protocols and appropriate questions, receives complete, comprehensive and actually needed information in the shortest possible time.

HIGHLY ACCURATE INCIDENT PRIORITIZATION

ProQA ensures that the incoming information received during the call is processed as efficiently as possible, after which it correctly and unambiguously determines the priorities of the incidents.

FIRST AID TELEPHONE INSTRUCTIONS

Based on relevant instructions, the operator is able to provide appropriate and prompt first aid consultation to citizens before arrival of the crew.

In Georgia fire rescue and police cases are already being handled by ProQA Paramount. Next stage envisages implementation of emergency medical protocol.

ProQA

07 საგზაო უსაფრთხოება
ROAD SAFETY

დანაშაულის პრევენციისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სულ, საქართველოს მასშტაბით დამონტაჟებულია 5411 ვიდეოკამერა. მათ შორის 1836 ნომრის ამომცნობი და 3575 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა.

საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე, სულ ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 347 სექცია, რის საფუძველზეც, ჯამურად კონტროლდება 1412 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

2021 წელს საქართველოს მასშტაბით დამონტაჟდა 625 ვიდეოკამერა. მათ შორის 85 ნომრის ამომცნობი და 540 ზოგადი ხედვის კამერა.

საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე 2021 წელს ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 77 სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 270 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

To ensure crime prevention and road safety, there are 5411 video surveillance cameras installed on the territory of Georgia, among which 1836 are licence plate recognition video cameras, while 3575 are general visions cameras.

For the purpose of average speed control and road safety administration, total of 347 sections of speed control have been activated on the roads of international and domestic importance of Georgia, on the basis of which a total of 1412 km is controlled.

In 2021 625 video cameras have been installed on the territory of Georgia, Including 85 licence plate recognition and 540 general vision cameras.

77 sections of speed control is launched on the roads of international and domestic importance of Georgia in 2021, on the basis of which 270 km road is controlled.



08 112-ს პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა

112 TRAINING CENTER HAS BEEN GRANTED THE RIGHT TO IMPLEMENT A VOCATONAL TRAINING PROGRAM

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრს, მიენიჭა უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“.

პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შემდგომ, მსმენელები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს მიიღებენ.

სასწავლო ცენტრს შესაძლებლობა აქვს, ქოლ-ცენტრის ოპერატორების გადამზადების სერვისი შესთავაზოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი 2015 წელს ჩამოყალიბდა. ცენტრი მუდმივად ზრუნავს 112-ის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე, ამ მიმართულებით მომსახურებას უწევს მომიჯნავე სამსახურებსა და სხვა ორგანიზაციებს.

2021 წლის მონაცემებით, 112-ის სასწავლო ცენტრის ტრენერების მიერ, სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ეფექტიანი კომუნიკაციის, ასევე პროგრამულ ნაწილში, გადამზადდა 1300-მდე პირი, როგორც 112-ის თანამშრომლები, ასევე მომიჯნავე სამსახურების წარმომადგენლები.

Public Safety Command Center “112” of Internal Affairs of Georgia has been granted the right to implement a vocational training program - "Remote Service Specialist of Contact Center."

Upon completion of the vocational training program, attendees will receive a state-recognized certificate of vocational education.

The training center has the capability to offer training services for call center operators to any interested parties, both public and private organizations.

Training center of Public Safety Command Center “112” was established in 2015. The center constantly works towards raising the qualification of the employees of 112. Furthermore, it provides services in this direction for partner entities and different organizations.

Pursuant to the data of 2021, the instructors of training center of 112 have trained up to 1300 employees including employees of 112, as well as representatives of partner entities in different directions, both in effective communication and software.

09

ISO სტანდარტის დანერგვა
INTRODUCTION OF ISO STANDART

2021 წელს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა მიიღო გადაწყვეტილება და დაიწყო სასწავლო ცენტრისათვის საერთაშორისო ISO 21001:2018 სტანდარტის „საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტ სისტემის ხარისხი“, ხოლო ოპერატიული მართვის სამმართველოსათვის საერთაშორისო ISO 9001:2015 სტანდარტის „ხარისხის მენეჯმენტ სისტემების“ დანერგვა.

ISO სტანდარტის დანერგვა გააუმჯობესებს, როგორც ცენტრის მომსახურების ხარისხს, ასევე ცენტრში დასაქმებული ადამიანებისთვის სამუშაო პირობებს, ეფექტურად მოახდენს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული მხარის ინტერესების აღმოჩენას.

2021 წლის ნოემბერში განხორციელდა შიდა აუდიტი ISO 9001: 2015 დან 21001:2018 ნორმების დაცვით და დაიწყო სტანდარტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავება.

პროექტი ხორციელდება სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ჩართულობით.

In 2021, the Public Safety Command Center "112" made a decision to introduce the international standard ISO 21001: 2018 "Management System for the educational institutions" for the training center, as well as, the international ISO 9001: 2015 standard "Quality Management Systems" for the Operative Response Division.

The introduction of the ISO standard will improve the quality of service of the center, as well as the working conditions for the employees of the center and will effectively identify the interests of staff and other stakeholders.

In November 2021, an internal audit was carried out in compliance with the norms of ISO 9001: 2015 to 21001: 2018 and the documentation drafting process required by the standard has begun.

The project is being implemented with the involvement of the U.S. State.

10 ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა
ELECTRONIC MONITORING SYSTEM OF DOMESTIC VIOLENCE

2021 წელს, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ელექტრონული ზედამხედველობა განხორციელდა

11 პირზე.

IN 2021 ACCORDING TO THE LAW ON “VIOLENCE AGAINST WOMEN AND/OR ELIMINATION OF DOMESTIC VIOLENCE, PROTECTION AND SUPPORT OF VICTIMS OF VIOLENCE” AND OTHER NORMATIVE ACTS, 112 CARRIED OUT ELECTRONIC SURVEILLANCE ON

11 PERSONS.

2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან, საქართველოს კანონმდებლობით ძალაში შევიდა მოძალადის ელექტრონული ზედამხედველობის პროგრამა, რომელსაც ტექნიკურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შეიქმნა ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი, რომლის კომპეტენციის ფარგლებშიც დაიწყო „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება.

From September 1, 2020, the program of electronic surveillance of the perpetrator entered into force under the legislation of Georgia, which is technically provided by the Public Safety Command Center "112".

In this regard, the Public Safety Command Center “112” established an electronic monitoring center, which within the scope of its competence began to implement electronic oversight provided by the Law on “Violence against women and/or elimination of domestic violence, protection and support of victims of violence”.

11 საკანონმდებლო უზრუნველყოფა
LEGAL PROVISION

2021 წლის 9 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლის მიხედვით მოქალაქეებს 112-ის წინაშე დაგროვებული დავალიანება ჩამოეწერათ.

აღნიშნული ცვლილების თანახმად, პირებს, რომელთა ავტომობილიც, კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის დაცულ ავტოსადგომზე 2020 წლის პირველ სექტემბრამდე განთავსდა და 2021 წლის ივნისამდე არ მომხდარა მათი გაყვანა, ერთჯერადად, 100 ლარის გადახდის სანაცვლოდ, საშუალება მიეცათ, საკუთარი ავტომობილი დაიბრუნონ. ამასთან, მათ სრულად ჩამოეწერათ 112-ის წინაშე დაგროვებული დავალიანება, რომლის საერთო ოდენობაც აღნიშნული პერიოდისთვის 4 მილიონამდე ლარს შეადგენდა.

4 მილიონ ლარამდე დაგროვებული დავალიანების ჩამოწერა მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით შეიქმნა სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი ავტომანქანების ადმინისტრირებისა და მათი სადგომიდან გაყვანის ეფექტიანი მექანიზმი, რაც სამომავლოდ გამორიცხავს მოქალაქეთათვის მსგავსი დავალიანების დაგროვების რისკებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისა და დგომის უზრუნველყოფა. ეს მიმართულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების დაცულ სადგომზე გადაყვანასა და აღნიშნულ სადგომზე მისი დგომის უზრუნველყოფას.

On June 9, 2021, the Parliament of Georgia approved the law, according to which the accumulated debt that citizens owed to 112 was annulled.

According to the amendments, individuals whose vehicles were transferred to the protected parking lot of Public Safety Command Center "112" before September 1, 2020 and left their vehicles at the parking lot till June 2021 were allowed to take their vehicles back for a one-time fee of GEL 100. At the same time, the accumulated debt they owed to 112 was completely annulled, the total amount of which was up to 4 million GEL for the mentioned period.

Annulling the accumulated debt of up to 4 million GEL is a significant relief for citizens given the economic problems caused by the pandemic. In addition, the package of legislative amendments has been implemented creating an effective mechanism for the administration of vehicles transported to and their removal from specially protected parking lots, thus eliminating the risks of accumulating similar debts for citizens in the future.

One of the activities of Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs of Georgia is to ensure the movement with or without the evacuator and standing of the vehicle. This direction includes the transfer of the vehicle to a protected parking lot in accordance with the legislation of Georgia and ensuring its standing on the mentioned parking lot.

12 112-ის სტრუქტურული ერთეულები
STRUCTURAL UNITS OF 112

ინფორმაციული ტექნოლოგიები

სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხეობის მართვის ცენტრი „112“-ში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ტექნიკური დახმარების სამმართველოს მთავარი ფუნქცია ქოლ-ცენტრის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების გამართული ფუნქციონირებაა. სწორედ აღნიშნული სამმართველო უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში სამუშაო პირობების მუდმივ გაუმჯობესებას და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე ზრუნვას.

2021 წელს, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქსელური მდგრადობისთვის შეიცვალა ცენტრალური ქსელური მოწყობილობები, სრულად განახლდა ქოლ-ცენტრის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვერული სისტემა;

განახლდა თბილისისა და რუსთავის ცენტრების და საჯარიმო სადგომების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, ასევე ევაკუატორები აღიჭურვა ახალი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით;

INFORMATION TECHNOLOGIES

Main function of IT Development and Technical Support Division of LEPL Public Safety Command Center “112” is to ensure the smooth operation of the call center and the proper functioning of video surveillance systems. The division ensures the continuous improvement of working conditions in the Public Safety Command Center “112” and the provision of modern technologies in accordance with the development of modern technologies.

In 2021, the central network equipment was changed for the network stability of the LEPL Public Safety Command Center “112”. Moreover, the server system required for the proper functioning of the call center was fully upgraded.

Furthermore, video systems of Tbilisi and Rustavi centers and parking lots were upgraded, as well as evacuators were equipped with new video systems;

ლიცენზირებული დაწესებულებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს ლიცენზირებული დაწესებულებების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და ვიდეომეთვალყურეობის დამონტაჟების აქტის გაცემას.

ლიცენზირებულ დაწესებულებებს განეკუთვნება:

- აზარტული დაწესებულებები;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- სესხის გამცემი სუბიექტები;
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტები;
- ავტორიზებული აფთიაქები;
- ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები საკომპრესორო სადგურები.

მიმდინარე წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული ლიცენზირებული დაწესებულების 1113 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმება განხორციელდა.

შემოწმებული 1113 ობიექტიდან, 558 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, განყოფილების მიერ,

LICENSED INSTITUTIONS

Public Safety Command Center “112” of the Ministry of Internal Affairs of Georgia determines the compliance of the external video surveillance systems of licensed institutions with the requirements set by Georgian legislation and issues a video surveillance installation act.

Licensed institutions include:

- Gambling institutions
- Microfinance institutions
- Lending institutions
- Currency exchange points
- Authorized pharmacy stores
- Patrol/Gas stations; compressor stations

During the year of 2021, the video surveillance system of 1113 facilities of licensed establishments across the country was inspected.

Out of 1113 objects inspected, the video surveillance system of 558 objects met the requirements of the law, therefore, the department is-

ყოველ აღნიშნულ ობიექტზე, ვიდეომეთვალყურეობის დამონტაჟების აქტი გაიცა, ხოლო 555 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან/პარამეტრებთან შეუსაბამობის გამო დახარვეზდა.

2021 წლის მდგომარეობით, ჯამურად, ლიცენზირებული დაწესებულებების გარე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ზედამხედველობა ხორციელდება 4187 ორგანიზაციის 11519 ობიექტზე.

sued a video surveillance certificate for each of the mentioned objects, while the video surveillance system of 555 objects failed to comply with the legislative requirements / parameters.

As of 2021, the supervision of external video surveillance systems of licensed institutions is carried out at 11519 objects of 4187 organizations in total.

კერძო დაცვითი საქმიანობა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლს აწარმოებს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ლიცენზირებული დაწესებულებების შემოწმების სამმართველოს კერძო დაცვითი საქმიანობის შემოწმების განყოფილება.

მიმდინარე წელს, საქართველოში რეგისტრირებული კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი კერძო დაცვითი ორგანიზაციების დაცვის ქვეშ მყოფ 494 ობიექტზე მომუშავე მცველების საქმიანობა იქნა შემოწმებული. აღმოჩენილ სამართალდარღვევებზე შედგენილია 53 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. კერძო დაცვითი საქმიანობის შემოწმების განყოფილების მიერ კერძო დაცვით ორგანიზაციაში დასაქმებულ მცველთათვის დამზადებულია 9970 მცველის მოწმობა, ჯამურად 38 ორგანიზაციისთვის.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი აქტიურად მუშაობს პროექტზე, რომელიც გულისხმობს მცველების გადამზადების პროგრამის შექმნა-შემუშავებასა და დანერგვას საქართველოში.

კერძო დაცვითი საქმიანობის განყოფილების ფარგლებში, მუშავდება ასევე კერძო დაცვითი საქმიანობისთვის, კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისად, ერთიანი ელექტრონული პორტალი. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება-დანერგვის პროცესი.

PRIVATE SECURITY SERVICES

Private Security Service Inspection Sub-division of Licensed Establishments Inspection Division of Public Safety Command Center “112” carries out the control of private security services in compliance with the rules established by the Minister of Internal Affairs of Georgia.

During the year, the activities of the guards working at 494 facilities under the protection of private security organizations, holding a license for private security activities registered in Georgia, were inspected. 53 administrative violation protocols were compiled on the detected violations. Private Security Service Inspection Sub-division has issued 9970 security certificates for guards employed at private security organizations, for a total of 38 organizations.

The Public Safety Command Center is actively working on a project that involves the development and implementation of the security guard training program in Georgia.

Moreover, within the Private Security Service Inspection Sub-division, a unified electronic portal is developed for private security activities in accordance with the requirements of Law of Georgia on Private Security Activities. The software development/implementation process is currently ongoing.

ინსპექტირების სამმართველო

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ინსპექტირების სამმართველო უზრუნველყოფს მოსამსახურეთა მიერ სტანდარტებისა და წესების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლს; მათ გეგმიურ და არაგეგმიურ შემოწმებას; მუშაობს დისციპლინური ნორმების/საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე, პრევენციასა და სათანადო რეაგირებაზე. გამოვლენილი ხარვეზების, შემოსული განცხადებების/საჩივრების საფუძველზე, ახორციელებს სამსახურებრივ შემოწმებას და შესაბამისი ცნობების/დასკვნების მომზადებას.

ინსპექტირების სამმართველო ასევე კონტროლს უწევს 112-ის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრის დაცვის ღონისძიებებს; შეიმუშავებს რეკომენდაციებს 112-ის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადებისა და წახალისების შესახებ.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს კომუნიკაცია ოპერატორებთან, დისპეტჩერებთან, ცვლის უფროსებთან და ოპერატიული მართვის სამმართველოს სხვა თანამშრომლებთან.

INSPECTION DIVISION

Inspection Division of Public Safety Command Center “112” exercises control over compliance with the requirements of standards and rules by employees; carries out planned and unscheduled inspections; works on detecting, preventing and responding to violations of disciplinary norms / Georgian legislation. Based on the identified shortcomings, submitted applications / complaints, the division carries out an official inspection and prepares relevant information / conclusions.

Furthermore, the Inspection Division oversees the protection of the inner and outer perimeter of the 112 administrative buildings; develops recommendations on professional training and incentives for 112 employees.

In order to improve service quality, the division constantly communicates with operators, dispatchers, shift supervisors and other employees of Operative Response Division.

13 ყოველწლიური ღონისძიებები
ANNUAL EVENTS OF 112

11 თებერვალი - 112-ის დღე

2021 წლის 11 თებერვალს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად 112-ის დღე აღნიშნა.

112-ის დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის, ბრძანებით, ყველა ოპერატორი მადლობის სიგელით დაჯილდოვდა. ასევე, რუსთავის ცენტრის უფროსს, გადაეცა სამინისტროს მედალიონი „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

2009 წელს, ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 11 თებერვალი 112-ის დღედ გამოაცხადეს. 11 თებერვალს, როგორც საქართველო, ასევე, მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, 112-ის დღეს აღნიშნავენ.

11 FEBRUARY - 112 DAY

On February 11, 2021, the Public Safety Command Center “112” celebrated 112 Day with more than 80 countries around the world.

Regarding the 112 day, pursuant to the Order of the Minister of the Internal Affairs – Vakhtang Gomelauri, all operators were awarded Certificate of Appreciation. Furthermore, Head of Rustavi Center was awarded medallion for "Special Achievement."

In 2009, European Commission, European Parliament and European Council announced February 11, as 112 Day. February 11 is celebrated in Georgia, as well as in more than 80 countries throughout the world.

პოლიციის დღე

პოლიციის დღესთან დაკავშირებით პანდემიასთან ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი ხარისხის მედლით განსაკუთრებული დამსახურებისთვის შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორი, გიორგი არსოშვილი, დაჯილდოვდა.

ასევე, მედალიონით „განსაკუთრებული დახმარებისთვის“ შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორი, თამარ ლემონჯავა, დაჯილდოვდა, მან სწორად ნამართი ზარის საშუალებით ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე გადაარჩინა.

POLICE DAY

On Police day, Giorgi Arsoshvili, director of LEPL Public Safety Command Center “112” was awarded the first-degree Medal of the Ministry of Internal Affairs for special merit in the fight against the pandemic.

Moreover, Tamar Lemonjava – Operator of LEPL Public Safety Command Center “112” of MIA was awarded medallion for "special assistance" as she saved young man’s life through properly managed call.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

112-ის გმირი ბავშვების დაჯილდოება

2021 წლის 1-ელ ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა, 4 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიანიჭა. მოზარდებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში სხვა ადამიანების გადასარჩენად, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს.

პროექტი „112-ის გმირი“ 2016 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ყოველ წელს ჯილდოვდება ყველა ის მოზარდი, რომელმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს გადაუდებელ შემთხვევებში.

INTERNATIONAL DAY FOR PROTECTION OF CHILDREN

REWARDING HERO CHILDREN OF 112

On June 1, 2021, the Public Safety Command Center “112” of the Ministry of Internal Affairs awarded the title of "Hero of 112" to 4 teenagers. The teens called the emergency number in a timely manner to save other people in the most difficult and crucial moments.

Project "Hero of 112" has been implemented since 2016. Within the frames of the project, teenagers who have displayed high civil responsibility and know how to act in case of emergency situation, are awarded annually.

11 თებერვალი - 112-ის დღე
FEBRUARY 11th - DAY OF THE 112

პოლიციის დღე
POLICE DAY

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
INTERNATIONAL DAY FOR PROTECTION OF CHILDREN

14 საერთაშორისო თანამშრომლობა
INTERNATIONAL COOPERATION

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციას მასპინძლობს.

2021 წელს ცენტრმა პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, INL-ის ახალ ხელმძღვანელს, გერმანიის, პოლონეთის, საბერძნეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და ლატვიის მეკავშირე ოფიცრებს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების ოფიცერს, ჯეიმს ულინის და სომხეთის პოლიციის დელეგაციის წევრებს უმასპინძლა.

სტუმრები ადგილზე გაეცნენ ცენტრის მუშაობის სპეციფიკას და დეტალური ინფორმაცია მიიღეს, როგორც მიმდინარე, ასევე დაგეგმილი პროექტების შესახებ.

Public Safety Command Center “112” hosts delegations from various countries during the entire year.

In 2021 the Center hosted representatives of the Ministry of Interior and Administration of Poland , newly appointed head of INL, liaison officers from Germany, Poland, Greece, Austria, France, Spain, Latvia, Regional Security Officer of the U.S. Embassy in Georgia – James Ullin and the delegation of the Police of the Republic of Armenia.

Guests got familiarized with the specifics of the work of 112 and received detailed information about ongoing and planned projects.

112-ს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სახის ამომცნობი კამერების სისტემა გადაეცა

2021 წლის 22 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე აღჭურვილობა - სახის ამომცნობი კამერების სისტემა გადაეცა.
აღნიშნული ტექნიკა სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, კერძოდ, საერთაშორისო აეროპორტების ტერიტორიაზე დამონტაჟდა და მათი საშუალებით, როგორც შემომსვლელ, ასევე, გამსვლელ მგზავრთა ნაკადის მონიტორინგი ხდება, რაც უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს.

აღჭურვილობის შეძენა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის - „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE) - ინტეგრირებული საზღვრის მართვა (SAFE IBM)" - ფარგლებში განხორციელდა.

112 WITH THE FINANCIAL SUPPORT OF THE EUROPEAN UNION WAS PROVIDED WITH MODERN EQUIPMENT SYSTEM OF FACE RECOGNITION CAMERAS

On April 22, 2021 Public Safety Command Center “112” of the Ministry of Internal Affairs was handed over modern equipment system of face recognition cameras with the financial support of the EU.

The equipment has been installed at border checkpoints, in particular at international airports, and will monitor the flow of both incoming and outgoing passengers, ensuring a high standard of security.

The equipment was purchased within the framework of the project "EU4 Security, Accountability and Fight against Crime in Georgia (SAFE) – Integrated Border Management (SAFE IBM)" implemented by the International Organization for Migration.

2022 წლის გეგმები 15

PLANS FOR 2022

1. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განვითარება - ქვეყნის მასშტაბით, პრიორიტეტულ ლოკაციებსა და ე.წ. შავ წერტილებზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი, არანაკლებ 300 ვიდეოკამერის დამონტაჟება, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფიქსაციას.

DEVELOPMENT OF VIDEO SURVEILLANCE SYSTEMS - Installation of video surveillance systems – at least 300 video cameras, nationwide, at priority locations and so-called black spots, which will contribute to the fight against crime and the detection of administrative offenses. 1.

2. საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციების მოწყობა - ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟის საფუძველზე, საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არანაკლებ 50 საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს საგზაო უსაფრთხოების განმტკიცებას.

ARRANGEMENT SECTIONAL SPEED CONTROL SYSTEM - through the installation of video surveillance systems, arrangement of at least 50 average speed control sections on roads of international and domestic importance of Georgia which will contribute to the strengthening of road safety. 2.

3. პროგრამული განახლება - 112-ის მობილური აპლიკაციის „112Georgia“ განახლება, ფუნქციების დამატება და რედიზაინი; ასევე, 112-ის პროგრამის „ERC“ სრული განახლება.

SOFTWARE UPGRADE - Updating, feature-adding and redesigning mobile application "112Georgia"; Moreover, a full upgrade of 112 program "ERC". 3.

4. კერძო დაცვითი საქმიანობა - მცველების გადამზადების პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოში. პროგრამის აღიარება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რათა მცველებისთვის შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების გაცემა.

PRIVATE SECURITY SERVICES - development and implementation of a security guard training program in Georgia. Recognition of the program by National Center for Educational Quality Enhancement in order the guards to be able to receive state-recognized certificates. 4.

5. პიროვნების სახის ამომცნობი სისტემის განვითარება - პროექტი უზრუნველყოფს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამოყენებით პიროვნების იდენტიფიკაციას, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და ძებნილ პირთა დადგენა/დაკავებას.

DEVELOPMENT OF FACE RECOGNITION SYSTEM - The project using a video surveillance system, ensures identification of persons, and thus, further strengthening fight against crime and the identification / arresting of wanted persons. 5.

6. ხმოვანი ბანკის დანერგვა - ავტომატური ხმოვანი ამომცნობი სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს პიროვნების მყისიერ იდენტიფიკაციას, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას.

INTRODUCTION OF VOICE BANK - The introduction of an automatic voice recognition system provides instant identification of the person, which will help to prevent and combat crime. 6.

7. გარე პერიმეტრზე სავალდებულო ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება - საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე გაფართოვდება ლიცენზირებული დაწესებულებების სპექტრი, რომლებსაც ექნებათ ვალდებულება, უზრუნველყონ გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლი, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას.

DEVELOPMENT OF MANDATORY VIDEO SURVEILLANCE SYSTEM ON THE OUTER PERIMETER - Based on the ordinance of the Government of Georgia, the range of licensed institutions, which will have the obligation to provide video surveillance of the outer perimeter, will be expanded, thus contributing to the fight against crime and strengthening of public safety. 7.

8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

UPGRADING THE MATERIAL - TECHNICAL BASE 8.





112.ge
Fb.com/112.ge